სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა

2016

III ტური
I ეტაპი

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ყურადღებით გაეცანით დავალებას, კარგად გაიაზრეთ პირობა, დაწერეთ ესე და გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს. გთხოვთ, ***წეროთ გარკვევით.***
ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3,5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

არგუმენტირებული ესე

თქვენ წინაშეა ერთმანეთისაგან განსხვავებული ექვსი წყარო. ყურადღებით გაეცანით მათ და გაანალიზეთ თითოეული მათგანის საზრისი. წყაროების გამოყენებით დაწერეთ არგუმენტირებული ესე, რომელიც გააერთიანებს ექვსივე წყაროს ძირითად სათქმელს და დაასათაურეთ იგი:

წყარო N1

წარწერა პლაკატებზე: „რასების აღრევა კომუნიზმია“. „შეწყვიტეთ რასების აღრევა - ანტიქრისტეს სვლა.“
აშშ, ლითლ- როკი, 1959 წელი

ნაცისტური ანტიებრაული პროპაგანდის ნიმუში. წარწერა: „ის არის ომში დამნაშავე!“

რასისტული ტერორისტული ორგანიზაცია ,,კუ-კლუქს-კლანის“ შეხვედრა. წარწერა კედელზე: ,,იესო გადაგვარჩენს“.

წყარო N2



წყარო N3

,,ხოლო მეგაბიძოსმა ბრძანა, მცირეთა მმართველობას მივენდოთ, მან თქვა: ,,რაც ოტანესმა ილაპარაკა ტირანიის მოსპობის შესახებ, მეც იმასვე ვიტყოდი, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ძალაუფლება ხალხს გადაეცეს, აქ ის თავის სწორ აზრს ასცდა, რადგან არაფერია უფრო უგუნური და თავნება, ვიდრე უსარგებლო ბრბო. მართლაც, სრულიად აუტანელია, რომ ხალხმა თავი იხსნას ტირანის თავნებობისაგან და თავი ჩაიგდოს ხალხის აღვირახსნილ თავნებობაში, რადგან თუ ტირანი რამეს აკეთებს, მან იცის და ისე აკეთებს, ხალხმა კი არ იცის. ანდა როგორ უნდა იცოდეს რამე იმან, ვისაც არც უსწავლია და არც უნახავს არაფერი კარგი და ხეირიანი, ის მიექანება და იჭრება საქმეებში უგუნურად, ადიდებული მდინარის მსგავსად. რაც შეეხება ხალხს, ვისაც სპარსელებისათვის ბოროტება უნდა, იმათ შემოგვთავაზონ მათი მმართველობა, ჩვენ კი ამოვარჩევთ საუკეთესო ადამიანთა ჯგუფს და მათ გადავცემთ ძალაუფლებას. ჩვენ თვითონ მათ შორის ვიქნებით. ცხადია, საუკეთესო ადამიანებს გადაწყვეტილებებიც საუკეთესო ექნებათ". მეგაბიძოსმა ეს აზრი გამოთქვა.“

,,ისტორია“, ჰეროდოტე, ძვ. წთ. V საუკუნე

წყარო N4

- ახლა რაკი იქიდამ დავიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არა არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითით აგიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?
- წარმოვიდგინე.
- არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.
- დავკეტე,-ვუპასუხე კი და სიცილი მომივიდა.
- ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.
- ჩამოვაფარე.

  რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდა, ვეღარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის.

,,მგზავრის წერილები“, ილია ჭავჭავაძე (1837-1907)

წყარო N5

,,დემოკრატია ვერ იქნება წარმატებული, სანამ ისინი, ვინც საკუთარ არჩევანს გამოხატავს არ არიან მზად გონივრული არჩევანი გააკეთონ. ამიტომ, განათლება დემოკრატიის ნამდვილი მცველია“.

ფრანკლინ დელანო რუზველტი (1882-1945)

წყარო N6

დემოკრატია ყოველ თაობაში ახლიდან უნდა გაჩნდეს და განათლება მისი ბებიაქალია.

ჯონ დიუი (1859-1952)

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების გათვალისწინებით:

- ესე უნდა იყოს არგუმენტირებული, ერთიანი, მთლიანი. მასში ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული მოცემული ექვსივე წყაროს საზრისი, თუმცა ის არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ წყაროში მოცემული პრობლემატიკის პერიფრაზს ან/და წყაროთა საზრისების მექანიკურ ჯამს;
- თქვენი მსჯელობა უნდა იყოს არგუმენტირებული. ესეზე მუშაობისას, შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი მონაცემი (მაგალითები ისტორიიდან, ლიტერატურიდან, პირადი გამოცდილებიდან და სხვა), რომელსაც საჭიროდ მიიჩნევთ თქვენი პოზიციის გასამყარებლად;
- **ნაშრომი, ასევე, უნდა განიხილავდეს ესეს ძირითად იდეას საქართველოს დღევანდელ კონტექსტში და წარმოაჩენდეს თქვენს ხედვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.**

დარწმუნდით, რომ ესე:

- *დასათაურებულია;*
- *აგებულია ესეს სტრუქტურის შესაბამისად (შესავალი ნაწილი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა);*
- *მოიცავს დამაჯერებელ არგუმენტებს.*
- *ნათლად გადმოსცემს თქვენს სათქმელს;*

გაითვალისწინეთ, ესე გასწორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- **უნდა შეესაბამებოდეს მოცემული წყაროების საზრისს;**
- **არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ შეხედულებებს, სიძულვილის ენას;**
- **შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით;**
- **არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის.**